



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 95

2019 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივნისის №62/ნ დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სამსახურის რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1051659, 15.08.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პირველი დანართის:

ა) მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) საკონკურსო კომისიები – კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი ორგანო, რომელიც განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს, საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.“

ბ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საკონკურსო განაცხადის შეფასება

1. კონკურსზე დარეგისტრირებულ განაცხადებს, სახელობითი სტიპენდიების კატეგორიების გათვალისწინებით, აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისიები;

2. საკონკურსო კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

3. საკონკურსო კომისიები საკონკურსო განაცხადებს აფასებს ამ წესით დადგენილი კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საკონკურსო განაცხადის დაფინანსების აუცლებელი პირობა 20 მაქსიმალური ქულიდან 15 ან მეტი ქულის მიღება.

4. გენერალური დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო კომისიების მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ საკონკურსო განაცხადებს.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზორად გაბისონია

